



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1007
23/05/2018

ქალაქი ბათუმი

1007-05-4-201805231610



„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ხელვაჩაურის გამწვანების, დასუფთავებისა და კომუნალური მომსახურების სამსახური“-სათვის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტომანქანა „მერსედეს ბენსი“-ს მარკის ნაგავმზიდი, სახელმწიფო ნომერი AZ478ZV-ის თხოვების ფორმით გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე.“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლისა და მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსის ა. ბაჭაშვილის 2018 წლის 15 მაისის №1390-05 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ხელვაჩაურის გამწვანების, დასუფთავებისა და კომუნალური მომსახურების სამსახური“-ს თხოვების ფორმით გადაეცეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სარგებლობაში არსებული „მერსედეს ბენსი“-ს მარკის ნაგავმზიდი, სახელმწიფო ნომერი AZ478ZV საერთო ღირებულებით 79498 (სამოცდაცხრამეტიათასოთხასოთხმოცდათვრამეტი).

2. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიულ სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილებას დაევალოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ხელვაჩაურის გამწვანების, დასუფთავებისა და კომუნალური მომსახურების სამსახური“-თან გასაფორმებელი თხოვების ხელშეკრულების პროექტის მომზადება, ხოლო მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ქონების მართვის განყოფილებამ (ა. ბაჭაშვილი) უზრუნველყოს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

3. დაევალოს მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს (ტ. ნაკაშიძე) აღნიშნული ქონების მიმართ საბუღალტრო დოკუმენტაციის წარმოება.

4. ბრძანება შესაძლებელია გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი N358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა

A handwritten signature in blue ink, consisting of stylized Georgian letters, is positioned to the right of the printed text.